

დავალიანების განვადებით გადახდის შეთანხმება

_____ 201_ წელი

ერთი მხრივ, სს „სილქნეტი“ (შემდგომში „სილქნეტი“), წარმოდგენილი _____ სახით და

მეორე მხრივ, ფიზიკური პირი -----, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის #-----, პირადი #-----
 მცხოვრები: -----, ----- (შემდგომში „აბონენტი“), ორივე ერთად წოდებული, როგორც
 „მხარეები“;

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვთანხმდებით ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებზე:

1. „აბონენტი“ აღიარებს, რომ გაწეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისათვის ანგარიშის ნომერზე #-----
 ----- ერიცხება „სილქნეტის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც მითითებულია წინამდებარე შეთანხმების მე-
 6 პუნქტში (შემდგომში „დავალიანების თანხა“);
2. განვადების საფასური შეადგენს დავალიანების თანხის 2%-ს განვადების ყოველ თვეზე, რომელსაც „აბონენტი“
 იხდის პირველად და ყოველ მომდევნო შენატანთან ერთად. შესაბამისად, „აბონენტის“ მიერ განვადების პირობებით
 დასაფარი სრული თანხა შეადგენს ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებულ „განვადების სრულ თანხას“
 (შემდგომში „განვადების სრული თანხა“);
3. განვადების შეთანხმების გაფორმებისას „აბონენტი“ იხდის პირველად შენატანს (შემდგომში „პირველადი შენატანი“).
 პირველადი შენატანისა და ყოველთვიური შენატანის ოდენობა განისაზღვრება „სილქნეტში“ მოქმედი განვადების
 დაანგარიშების წესების შესაბამისად;
4. „აბონენტის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში „სილქნეტი“
 უფლებამოსილია დადგენილი წესით შეზღუდოს ან/და შეწყვიტოს საკომუნიკაციო მომსახურება წინასწარი
 გაფრთხილების გარეშე;
5. „აბონენტის“ მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული „განვადების სრული თანხის“
 გადახდა მოხდება „სილქნეტის“ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე GE41BG000000878415000 ან „აბონენტის“ პირად
 ანგარიშზე: _____;
6. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან დავალიანების განვადებით გადახდის შემდეგ პირობებზე:

დავალიანების თანხა	
განვადების საფასური	
განვადების სრული თანხა	
თვეების რაოდენობა	
პირველადი შენატანი	
ყოველთვიური შენატანი	
გადახდის რიცხვი	
განვადების დასრულების თარიღი	

7. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის, დაკავშირებული ამ შეთანხმების
 მოშლასთან, შეწყვეტასთან ან ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მეშვეობით.
8. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების
 სრულად შესრულებამდე.
9. შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი
 ინახება მხარეებთან.

სს „სილქნეტი“

„აბონენტი“

დავალიანების განვადებით გადახდის შეთანხმება
(მესამე პირის მიერ გადახდისას)

_____ 201_ წელი

ერთი მხრივ, სს „სილქნეტი“ (შემდგომში „სილქნეტი“), წარმოდგენილი _____ სახით და

მეორე მხრივ, ფიზიკური პირი _____, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის # _____, პირადი # _____
მცხოვრები: _____, _____ (შემდგომში „გადამხდელი“), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“,

ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვთანხმდებით ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებზე:

1. „გადამხდელი“ თანახმაა გადაიკისროს და განვადების პირობით სრულად დაფაროს „სილქნეტის“ აბონენტზე _____ (პირადი # _____) (შემდეგში „აბონენტი“) გაწეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისთვის ანგარიშის ნომერზე: # _____ დარიცხული დავალიანება, რომელიც მითითებულია წინამდებარე შეთანხმების მე-6 პუნქტში (შემდეგში „დავალიანების თანხა“);
2. განვადების საფასური შეადგენს დავალიანების თანხის 2%-ს განვადების ყოველ თვეზე, რომელსაც „გადამხდელი“ იხდის პირველად და ყოველ მომდევნო შენატანთან ერთად. შესაბამისად, „გადამხდელის“ მიერ განვადების პირობებით დასაფარი სრული თანხა შეადგენს ხელშეკრულების მე-6 პუნქტში მითითებულ „განვადების სრულ თანხას“ (შემდეგში „განვადების სრული თანხა“);
3. განვადების შეთანხმების გაფორმებისას „გადამხდელი“ იხდის პირველად შენატანს (შემდეგში „პირველადი შენატანი“). პირველადი შენატანისა და ყოველთვიური შენატანის ოდენობა განისაზღვრება „სილქნეტში“ მოქმედი განვადების დაანგარიშების წესების შესაბამისად;
4. „გადამხდელის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში „სილქნეტი“ უფლებამოსილია დადგენილი წესით შეზღუდოს ან/და შეწყვიტოს საკომუნიკაციო მომსახურება, წინასწარი გაფრთხილების გარეშე;
5. „გადამხდელის“ მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული „განვადების სრული თანხის“ გადახდა მოხდება „სილქნეტის“ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე GE41BG000000878415000 ან „აბონენტის“ პირად ანგარიშზე: _____;
6. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან დავალიანების განვადებით გადახდის შემდეგ პირობებზე:

დავალიანების თანხა	
განვადების საფასური	
განვადების სრული თანხა	
თვეების რაოდენობა	
პირველადი შენატანი	
ყოველთვიური შენატანი	
გადახდის რიცხვი	
განვადების დასრულების თარიღი	

7. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, მათ შორის, დაკავშირებული ამ შეთანხმების მოშლასთან, შეწყვეტასთან ან ბათილობასთან, განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მეშვეობით.
8. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
9. შეთანხმება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

სს „სილქნეტი“

„გადამხდელი“
